

**საქართველოს კანონი  
საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში  
დამატების შეტანის შესახებ**

**მუხლი 1**  
საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (სსმ, №41(48), 1999 წ., მუხ. 209) 55-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 ნაწილი:

„3. სასამართლო გამოძიების გაუქმების ან შეკვეცის შემთხვევაში სასამართლო უფლებამოსილია ერთი მესამედით შეამციროს განსასჯელისათვის სასამართლოს მიერ დასანიშნი სასჯელის ოდენობა.“.

**მუხლი 2**  
ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი

**განმარტავითი ბარათი**  
**კანონპროექტზე „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში  
დამატების შეტანის შესახებ“**

წარმოდგენილი კანონპროექტის მომზადება გამომდინარეობს „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებისა და დამატების შეტანის შესახებ“ კანონპროექტიდან, რომელიც ითვალისწინებს სასამართლოს გამოძიების გაუქმების ან შეკვეცის შემთხვევაში განსასჯელის პასუხისმგებლობის შემსუბუქებას. პროექტის თანახმად დამატება შედის სისხლის სამართლის კოდექსის 55-ე მუხლში (კანონით გათვალისწინებულზე უფრო მსუბუქი სასჯელის დანიშვნა).

კანონის მიღება დამატებით საბიუჯეტო ხარჯებთან არ არის დაკავშირებული.

კანონპროექტის ავტორია საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.